



CHIATURMANGANUM GEORGIA
Georgian Ferroalloys

შპს "ჭიათურმანგანუმ ჯორჯია"

ს/კ 215147874

იურიდიული მისამართი: თერჯოლის რ-ნი 2413, სოფელი ნახშირღელე

ოფისი: თბილისი 0183, შავგულიძის ქ. №1

ტელ: +(995 32) 222 29 50 / ფაქსი: +(995 32) 222 77 60

ელ-ფოსტა: info@chmg.com.ge / ვებ-გვერდი: www.chmg.ge

152/12-23

01.12.2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ბატონ ვასილ გედევანიშვილს


ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 17/06/2019წ. №2-552 ბრძანებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახშირღელის ტერიტორიაზე, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს ფეროშენადნობთა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და აგლომერაციის საამქროს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე გაცემული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საწარმოს წარმადობის გაზრდის შედეგად მაქსიმალური სიმძლავრით ფუნქციონირების შემთხვევაში, წელიწადში იმ პირობით, რომ საწარმო იმუშავებს მხოლოდ ფეროშენადნობის ერთ სახეობაზე (სამუშაო რეჟიმი 330 დღე, 7920 საათი), გამოშვებული იქნება 34650 ტონა ფეროსილიკომანგანუმი, ასევე 34650 ტონაფერომანგანუმი, ხოლო ფეროსილიციუმი 23760 ტონა.

ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე შექმნილი რეალობის გათვალისწინებით და ხსენებულ პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე კომპანიის მენეჯმენტის მიერ დაგეგმილი იქნა არსებული ქარხნის მიმდებარედ ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფერომანგანუმი და ფეროსილიციუმი) ახალი საწარმო ხაზი ორ 8 მგვტ-იან ლუმელებზე და გაზარდოს პროდუქციის წარმოების მოწყობა.

ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ორი - 8 მგვტ-იანი ლუმელის და დამხმარე ინფრასტრუქტურის) მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობთა საწარმოს არა სანებართვო/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (№ 2-552; 17/06/2019) და შესაბამისი გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრულ, არამედ მის მიმდებარე, ასევე შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ კუთვნილ ტერიტორიაზე. საპროექტო საწარმოს მიერ განხორციელებული ტექნოლოგიური პროცესის დროს დაგეგმილი იყო არსებული საწარმოს სასაწყობო ინფრასტრუქტურის (ნედლეულისა და დამხმარე მასალების საწყობები), წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების გამოყენება.

საწარმოს წარმადობის გაზრდის შედეგად 155 ტ/დღე-სილიკომანგანუმი, 155 ტ/დღე ფერომანგანუმი და 102 ტ/დღე ფეროსილიციუმი, მაქსიმალური სიმძლავრით ფუნქციონირების შემთხვევაში, წელიწადში იმ პირობით, რომ საწარმო იმუშავებდა მხოლოდ ფეროშენადნობის ერთ სახეობაზე (სამუშაო რეჟიმი 330 დღე, 7920 საათი),



დაგეგმილი იქნა 51150 ტონა/წელ. ფეროსილიკომანგანუმის, ასევე 51150 ტონა/წელ. ფერომანგანუმის, ხოლო ფეროსილიციუმის 33660 ტონა/წელ. წარმოება.

ამასთანავე, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს მიერ ასევე დაგეგმილი იქნა 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ნახშირღელე“-ს მშენებლობისა და ესპლუატაციის პროექტის განხორციელება საწარმოს ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით. ამ პროექტის მიზანია შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს ფეროშენადნობთა ქარხნის კუთვნილი 110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგური „ახალი ხალცედონი“-ს გარე ელექტრომომარაგებისათვის აშენდეს ახალი 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი (კავშირი 110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგური „ახალი ხალცედონი“-ს და ქ/ს „ქუთაისი-220“-ის 110 კვ ძაბვის სახაზო უჯრედს შორის). ტექნიკური პირობის შესაბამისად კომპლექსის მოთხოვნილი აქტიური სიმძლავრე შეადგენს 30 მგვტ-ს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს დაკვეთით შპს „ჯეოკონი“-ს მიერ მომზადებული იქნა ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმში, ფერომანგანუმში და ფეროსილიციუმში) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდის) და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ნახშირღელე“-ს მშენებლობისა და ესპლუატაციის პროექტების საერთო სკოპინგის ანგარიში და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, „თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობთა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა (წარმადობის გაზრდა) და 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2023 წლის 19 მაისის №217/ს ბრძანებით გამოცემული იქნა 2023 წლის 19 მაისის №8 სკოპინგის დასკვნა.

დაგეგმილი საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები შესაბამისად, საჭირო დოკუმენტაციის პაკეტი მზადდება სკოპინგის დასკვნის საფუძველზე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს შესაბამისად.

ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე შექმნილი რეალობის გათვალისწინებით ხსენებულ პროდუქტზე მოთხოვნების ცვლილებიდან გამომდინარე კომპანიის მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ამჟამად მიღებული გადაწყვეტილებით ქარხნის ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ნახშირღელე“-ს მშენებლობისა და ესპლუატაციის პროექტის განხორციელება გაგრძელდება, ხოლო ქარხნის მიმდებარედ ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმში, ფერომანგანუმში და ფეროსილიციუმში) ახალი საწარმოს ხაზის ორ 8 მგვტ-იან ღუმელებზე მშენებლობისა და ესპლუატაციის პროექტის განხორციელება დროებით შეჩერდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის განხორციელებილის (შპს

„ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს) დაკვეთით შპს „ჯეოკონი“-ს მიერ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2023 წლის 19 მაისის №217/ს ბრძანებით გამოცემული 2023 წლის 19 მაისის №8 სკოპინგის დასკვნის საფუძველზე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს შესაბამისად მომზადებული იქნა 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ნახშირღელე“-ს მშენებლობისა და ესპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში, რომელსაც თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოგიდგენთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

- დანართი: 1. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ნახშირღელე“-ს მშენებლობისა და ესპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ;
2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტების ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;
3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაი ლთან ერთად);
4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,

მამია ბერიძე

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს დირექტორი

